6597/4-2/21 2 29062021

6597/4-2/21
29-06-2021

სს საქართველოს რკინიგზის გენერალურ დირექტორს
ბატონ დავით ფერაძეს

ბატონო დავით,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 211-ე მუხლის თანახმად, საქართველოს რკინიგზის შესაბამისი ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ იმავე კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს *(მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა რეგიონული მიმოსვლის მატარებლით, ან მაგისტრალური მიმოსვლის მატარებლით)* და ადგენენ შესაბამის ოქმებს.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

ა) 2015 წლიდან დღემდე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის - ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანის რამდენი ფაქტი გამოვლინდა, როგორია ამ სამართალდარღვევებზე ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და მისი აღსრულების მდგომარეობა;

ბ) იგივე დროის პერიოდში, გამოვლინდა თუ არა თექვსმეტ წლამდე ასაკის ბავშვის დამოუკიდებლად, თანმხლები პირის გარეშე უბილეთოდ მგზავრობის ფაქტები და როგორია ასეთ შემთხვევებში რეაგირების ზომები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე

თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

21.07.2021

N 3552

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

სს „საქართველოს რკინიგზის" მიერ განხილულ იქნა თქვენი ა.წ. 29 ივნისის #6697/4-2/21 წერილი და გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან დღემდე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, რეგიონული მიმოსვლის მატარებლით უბილეთო მგზავრობისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 750 მგზავრს, ხოლო „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე არავინ დაჯარიმებულა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, 16 წლამდე ასაკის მგზავრს უბილეთო მგზავრობისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება, საქართველოს რკინიგზა ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ გადაყვანის, ან თანმხლები პირის გარეშე უბილეთოდ მგზავრობის შესახებ მონაცემების აღრიცხვას არ აწარმოებს.

შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ რაიმე სახის ინფორმაცია ამ ასაკის ბავშვების უბილეთოდ მგზავრობასა და ამისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

პატივისცემით

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს. N 1-10523/21
27-07 2021 წ. ფურცლ. 1

მგზავრთა გადაყვანის დირექტორი

დავით ცაგერია